



შპს “ხაზარაძე ჰოლდინგ”

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის



შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის განცალკევებული ანგარიშგება	2
საქმიანობის შედეგების განცალკევებული ანგარიშგება	3
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების განცალკევებული ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების განცალკევებული ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	6-17


ფინანსური მდგომარეობის განცალკევებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშ- ვნები	ლარი
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	1,023,270
სხვა მოკლევადიანი აქტივები		1,080,800
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	5	171,556,322
სულ აქტივები		173,660,392
ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები		461
სულ ვალდებულებები		461
საკუთარი კაპიტალი		
განთავსებული კაპიტალი	6	58,945,825
გაუნაწილებელი მოგება		3,013,033
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	7	111,701,073
სულ საკუთარი კაპიტალი		173,659,931
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		173,660,392

ნიკა ხაზარაძე


დირექტორი



27 სექტემბერი, 2023 წ.

ელენე ხაზარაძე

ფინანსური დირექტორი



27 სექტემბერი, 2023 წ.

საქმიანობის შედეგების განცალკევებული ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	<i>შენიშ- ვნები</i>	<u>ლარი</u>
ნეტო ამონაგები	8	3,058,507
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9	<u>(32,580)</u>
საოპერაციო მოგება		<u>3,025,927</u>
საპროცენტო შემოსავალი		11,368
წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		<u>(24,262)</u>
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		<u>3,013,033</u>
მოგების გადასახადის ხარჯი		<u>0</u>
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება		<u><u>3,013,033</u></u>

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების განცალკევებული ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	<i>შენიშ- ვნები</i>	<u>ლარი</u>
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		0
საკუთარი კაპიტალის გაზრდა	6	58,945,825
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება		3,013,033
საკუთარი კაპიტალის სხვა ცვლილებები	7	<u>111,701,073</u>
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		<u><u>173,659,931</u></u>

ფულადი ნაკადების განცალკევებული ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	<u>ლარი</u>
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	3,026,388
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(2,236,435)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	<u>233,317</u>
ფულადი სახსრების წმინდა შემოსვლა	<u>1,023,270</u>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	<u><u>1,023,270</u></u>

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ხაზარაძე ჰოლდინგ“ (შემდგომში „კომპანია“, ან „ჰოლდინგი“) არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში 2022 წელს დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია წარმოადგენს საოჯახო ჰოლდინგს, რომელიც ფლობს წილებს საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ჩალაუზნის ქ., N 14.

2022 წლი 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰოლდინგის მესაკუთრეთა სტრუქტურა ასეთი იყო:

	31 დეკემბერი, 2022 წ.
ირინე ხაზარაძე (პნ 01024001864)	33.40%
ანა ხაზარაძე (პნ 01030018089)	16.65%
ნიკა ხაზარაძე (პნ 01030018090)	16.65%
ელენე ხაზარაძე (პნ 01031005075)	16.65%
სოფიო ხაზარაძე (პნ 01024058480)	16.65%
	100%

2022 წლი 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის განთავსებული კაპიტალი შეადგენდა 58,945,825 ლარს, ხოლო ნებადართული კაპიტალი განსაზღვრული არ იყო.

2. მომზადების საფუძველი

ჰოლდინგის განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს“) და ფასს-ის ინტერპრეტაციების კომიტეტის (შემდგომში „ფასკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად. წინამდებარე განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

წინამდებარე განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით. კომპანია ადგენს კონსოლიდირებულ ანგარიშგებას მას შემდეგ, როცა ის ღებულობს შვილობილი და მეკავშირე საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარებში, თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამე მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ჰოლდინგის ხელმძღვანელობის შეფასებით, ჰოლდინგს შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჰოლდინგის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან, მიმდინარე ანგარიშებისგან და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებისაგან, რომლებსაც აქვს განთავსებიდან სამი თვის ვადა, რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად, აქვს ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალია სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურების ზარალი აღირიცხება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

„ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL) თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით.

ჰოლდინგი ფინანსურ აქტივებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL), „რეალური ღირებულებით, სხვა შემოსავალში ასახვით“ (FVOCI) და ამორტიზებული ღირებულებით (AC). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია:

- დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და
- აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს ჰოლდინგი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - ჰოლდინგის მიზანია:

- აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება თუ
- როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება; ან
- თუ არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი მიზანი შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჰოლდინგი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც

- მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა; ან
- ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასვა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“

გარდა:

- რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია) პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და
- ფინანსური საგარანტიოს ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში:

- ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას;
- დეფოლტი;
- გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება;

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობისას პოლდინგი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები ხორციელდება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები აღწერილია 31-ე შენიშვნაში.

თანამშრომელთა ანაზღაურება

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, მიწებისა და შენობების გამოკლებით, აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშებაში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით.

თვითღირებულებით პირველადი აღიარების შემდეგ, მიწები და შენობები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. შეფასება ტარდება იმდენად ხშირად (საბაზრო ღირებულების ცვლილების მონიტორინგი, მინიმუმ, წელიწადში ერთხელ ხდება), რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

თუ აქტივის საბალანსო ღირებულება გადაფასების შედეგად იზრდება, ამ ზრდის აღიარება უნდა მოხდეს სხვა სრულ შემოსავალში და უნდა იქნეს აკუმულირებული საკუთარ კაპიტალში, სხვა რეზერვების ნაწილში. თუმცა ზრდის აღიარება უნდა მოხდეს მოგებაში ან

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ზარალში იმდენად, რამდენადაც ის შეაბრუნებს იმავე აქტივის გადაფასებით გამოწვეულ და მოგებაში ან ზარალში მანამდე აღიარებულ შემცირებას. თუ აქტივის საბალანსო ღირებულება გადაფასების შედეგად შემცირდება, ამ შემცირების აღიარება უნდა მოხდეს მოგებაში ან ზარალში. თუმცა, შემცირების აღიარება სხვა სრულ შემოსავალში უნდა მოხდეს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად მიღებული ზედმეტობის ნაშთების ოდენობით, რომლებიც კრედიტის ნაწილშია გატარებული. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კლება ამცირებს საკუთარ კაპიტალში სხვა რეზერვების ნაწილში აკუმულირებულ თანხას.

გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის საბალანსო ღირებულებას და წმინდა თანხა გადანაწილდება აქტივის გადაფასებული ღირებულების ოდენობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობები	50
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	10
ავეჯი და მოწყობილობები	5-10
კომპიუტერები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება მაშინ, როდესაც აქტივები ექსპლუატაციისთვის მზად არის.

საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ცვეთა ხდება ათი წლის განმავლობაში ან შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი უფრო ხანმოკლეა. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მეკავშირე საწარმოებში ინვესტირება

ჰოლდინგის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება წილობრივი მეთოდით.

ჰოლდინგის ჯამური წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში ან ზარალში ასახულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგებისგან განცალკევებით და წარმოადგენს წმინდა მოგებას ან ზარალს და არასაკონტროლო პაკეტებს მეკავშირე საწარმოს შვილობილ კომპანიებში. მეკავშირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მზადდება იმავე საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომლისთვისაც ჰოლდინგის ფინანსური ანგარიშგება. საჭიროების შემთხვევაში ხდება კორექტირებების შეტანა, რათა სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჰოლდინგის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჰოლდინგი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის განსაზღვრავს, ხომ არ არსებობს მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ასეთი მტკიცებულების აღმოჩენის შემთხვევაში, ჰოლდინგი გამოითვლის გაუფასურების ოდენობას, როგორც სხვაობას მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს აღდგენად ღირებულებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და შემდეგ ზარალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგების ნაწილში - „მეკავშირე საწარმოს წილი მოგებაში“. მეკავშირე საწარმოზე მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის შემთხვევაში, ჰოლდინგი ახდენს გაუნაწილებელი ინვესტიციის შეფასებასა და აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის მომენტისთვის მეკავშირე საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და გაუნაწილებელი ინვესტიციისა და გასვლის ამონაგების სამართლიან ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება პირველი შემოვიდა, პირველი გაიყიდა (“FIFO”) მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ვალუტაში მიღებული სესხებით გამოწვეულ საკუროსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების კორექტირებად.

ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა სახვა დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება წლის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

მიმდინარე გადასახადი მოიცავს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებებს ან მოთხოვნებს წლის დასაბეგრ შემოსავალზე ან ზარალზე, ისეთი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის და წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი ცვლილების გამოყენებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები).

მოგების გადასახადით ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ზღვარს გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება. ჰოლდინგი გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას აღიარებს მხოლოდ გამოცხადებული დივიდენდის გადაუხდელობის ნაწილზე.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჰოლდინგის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შემენილი არამატერიალური აქტივის

ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების 4-10 წლიანი ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯები (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც ჰოლდინგს აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება თუ გაყიდვა, აგრეთვე აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით. უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღირიცხვა მათი გაწევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჰოლდინგს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

თუ ჰოლდინგი მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, ანაზღაურების აღიარება ხდება აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მიღება ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**საკუთარი კაპიტალი**

დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში. დივიდენდების გამოცხადება ხორციელდება ჰოლდინგის წლიური ფინანსური მოგების საფუძველზე.

განთავსებული კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის წესდებით განსაზღვრულ სიდიდეს, რომელიც შეესაბამება მესაკუთრეების მიერ განთავსებულ კაპიტალში შეტანილი აქტივების ღირებულებას.

დამატებითი კაპიტალი წარმოადგენს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ დამატებით შენატანებს, რომლებიც არ წარმოადგენს განთავსებული კაპიტალის ნაწილს. საკუთარი კაპიტალის სხვა ელემენტები ასევე მოიცავს სხვადასხვა სახის რეზერვებს.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება*საპროცენტო შემოსავალი*

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში შესული პროცენტიანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების სავარაუდო შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები მოგებაში ან ზარალში შედის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

შემოსავალი მიღებული დივიდენდებიდან

შვილობილი და მეკავშირე საწარმოებიდან მიღებულ დივიდენდებს ჰოლდინგი აღრიცხავს საკასო მეთოდით, ანუ მას შემდეგ, რაც მოხდება დივიდენდების მის ანგარიშზე ასახვა.

ჰოლდინგი ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. ჰოლდინგი არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის ჰოლდინგის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით.

ჰოლდინგის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც, ამავდროულად, მისი სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით. ფულადი

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მუხლების დაფარვით ან კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ჰოლდინგის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის მიზნით. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში განისაზღვრება აქტივის აღდგენითი ღირებულება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

აღიარებული. ასეთი აღდგენა აღირიცხება გაუფასურების შებრუნების სახით, თუ აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით. ამ შემთხვევაში შებრუნება აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2022 წ.
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	434,213
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	589,057
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, სულ	1,023,270

ჰოლდინგის მოლოდინით, მისი ფული და ფულადი ექვივალენტები, რომლებიც განთავსებულია შესაბამის ფინანსურ დაწესებულებებში, სრულად ანაზღაურებადია.

ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

6. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

	31 დეკემბერი, 2022 წ.
სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“ (A კლასის ჩვეულებრივი აქციები)	129,563,194
სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტ“ (B კლასის ჩვეულებრივი აქციები)	27,096,841
შპს „ახალი სამშენებლო კომპანია“	2,172,284
შპს „გეოპლანტი“	1,967,194
შპს „ვაზისუბნის მამული“	9,016,361
შპს „როიალ ხვანჭკარა“	1,740,448
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, სულ	171,556,322

შვილობილ კომპანიებში ინვესტიციები შეფასებულია ისტორიული ღირებულებით, ანუ იმ ღირებულებით, რომელიც მათ გააჩნდათ ჰოლდინგის ბალანსზე ასახვისას.

7. განთავსებული კაპიტალი

	31 დეკემბერი, 2022 წ.
ირინე ხაზარაძე 33.40%	19,687,905
ანა ხაზარაძე 16.65%	9,814,480
ნიკა ხაზარაძე 16.65%	9,814,480
ელენე ხაზარაძე 16.65%	9,814,480
სოფიო ხაზარაძე 16.65%	9,814,480
განთავსებული კაპიტალი, სულ	58,945,825

განთავსებული კაპიტალის სიდიდე ტოლია ჰოლდინგის მესაკუთრეების მიერ ჰოლდინგის კაპიტალში შეტანილი აქტივების (წილების) ისტორიული ღირებულებისა შეტანის მომენტში. განთავსებული კაპიტალის სიდიდე ასახულია ჰოლდინგის წესდებაში.

8. საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები

	31 დეკემბერი, 2022 წ.
ირინე ხაზარაძე 33.40%	37,308,159
ანა ხაზარაძე 16.65%	18,598,229
ნიკა ხაზარაძე 16.65%	18,598,229
ელენე ხაზარაძე 16.65%	18,598,229
სოფიო ხაზარაძე 16.65%	18,598,229
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები, სულ	111,701,073

საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტების მუხლზე ასახულია ჰოლდინგის მესაკუთრეების მიერ ჰოლდინგის საკუთარ კაპიტალში შეტანილი დამატებითი ფულადი სახსრები, აგრეთვე სს „ლისი ლეიქ დეველოპმენტის“ წილების დაზუსტებით გამოწვეული ცვლილება.

9. ნეტო ამონაგები

	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დივიდენდები: სს ლისი ლეიქ დეველოპმენტ	2,781,764
დივიდენდები: შპს ახალი სამშენებლო კომპანია	276,743
ნეტო ამონაგები, სულ	3,058,507

ნეტო ამონაგების მუხლზე ასახულია ორი შვილობილი კომპანიიდან 2022 წლის განმავლობაში მიღებული ფულადი დივიდენდები.

10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
საგადასახადო ხარჯები	461
საბანკო ხარჯები	13,349
საკონსულტაციო და ბუღალტრული ხარჯები	16,157
მარკეტინგული ხარჯები	2,613
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	32,580